ნარბი +

თბილისი. ქვიშხეთის ქ. კ-1. ბ-21
ტელ.: 995 32 61 59 49
მობ.: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

NARBI +

Ap-t 21. K-1. Kvishkheti Str. Tbilisi. Georgia
Tel: 995 32 61 59 49
Mob: 995 99 50 59 49
tamazi.kvrivishv@mail.ru

# ტექნიკური დასკვნა

## ქ. თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქ.№1-ში მდებარე შენობის ნაწილზე, მისი მდგრადობის დასადგენად.

დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ფორე მოსულიშვილის ქ.№1-ში (ნაკვეთი №15/87) მდებარე შენობის ორსართულიან ნაწილზე. მისი მდგრადობის დასადგენად.

მოცემული შენობა წარმოადგენს ტიპოგრაფიული ფაბრიკის საწარმოო კორპუსებს შორის ჩასმულ, მართკუთხა ფორმის ორსართულიან ნაგებობას. იგი გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. ის წარმოადგენს დამაკავშირებელ და ტერიტორიაზე შესასვლელ გამშვებ პუნქტს. აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში. შენობას ანაკრები რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკველი აქვს. მხიდ ხონჩს წარმოადგენს ანაკრები რკინაბეტონის კარკასი, ნაწილობრივ ლითონის ელემენტების ჩართვით (შენობის შუა ნაწილში, სადაც გათვალისწინებულია ტრანსპორტის გამტარი ჭიშკარი). კარკასის შემავსებლად გამოყენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკის წყობის კედლები ცემენტის დუღაბზე, სისქით 200 მმ, პირველ სართულზე, და ლითონის ვიტრაჟები. შენობის სართულშუა გადახურვები შესრულებულია ანაკრები და მონოლითური რკინაბეტონის ფილით, ეს უკანასკნელი სისქით 16 სმ. გადასასვლელში არსებობს კიბისთვის გათვალისწინებული ლითონის ჩანები ანაკრები საფეხურების გარეშე.

ვიზუალურმა დათვალიერებამ გვანახა, რომ შენობის სამირკვლებში ჯდენითი დეფორმაციები არ შეიმჩნევა. მხიდი კონსტრუქციები არ არის დაზიანებული და შესაბამისად ბზარები მის ელემენტებში არ არის.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსახილველი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ.

შპს. "ნარბის" დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი: ი. ქვრივიშვილი